ნინო გორდელაძე • თინათინ კუხიანიძე

ქართული ენა

გრამატიკა და მართლწერა

4



თეორია და სავარჯიშოები მეოთხეკლასელთათვის

სარჩევი

მჟღერი და ყრუ თანხმოვნები 4

არსებითი სახელი 6

არსებითი სახელის რიცხვი 8

სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები 10

არსებითი სახელის ბრუნება 12

არსებითი სახელის კვეცა 14

არსებითი სახელის კუმშვა 16

კუმშვად-კვეცადი სახელები 18

საკუთარი სახელები 20

-დან თუ -გან? 21

ზმნა 22

ზმნის უღლება 24

ზმნა და არსებითი სახელი 26

ზმნის წინა მარცვალი 28

ზმნა და ახლანდელი დრო 30

აწმყო, წარსული და მომავალი 32

რიცხვში მონაცვლე ზმნები 34

რიცხვითი სახელი 36

ზედსართავი სახელი 38

სიტყვის შერჩევა 40

ზედსართავისა და არსებითი სახელების ბრუნება 42

ზმნა და ზმნიზედა 44

ნაცვალსახელი 46

თხრობითი და კითხვითი წინადადებები 48

ძახილის ნიშანი 50

მჟღერი და ყრუ თანხმოვნები

გარკვევით გამოთქვი შემდეგი სიტყვები: **ვსწავლობ,**
ვთამაშობ,
მარტივად,
რთულად.

ახლა ცალკე წარმოთქვი ბგერა ბ. შემდეგ წარმოთქვი ბგერა ფ.

რომელი ჟღერს უფრო ძლიერად, ბ თუ ფ?

ჯერ გამოთქვი ბგერა დ, შემდეგ გამოთქვი – თ. ამათ შორის რომელი უფრო ძლიერად ჟღერს?

ბ და დ ძლიერად ჟღერს, მათ მჟღერი თანხმოვნები ჰქვია.
ფ და თ ყრუდ ისმის. მათ ყრუ თანხმოვნები ეწოდება.

ბგერა გ-სა და ქ-ს შორის რა განსხვავებაა?

ერთად გამოთქვი მჟღერი და ყრუ თანხმოვნები:

ბ – ფ
დ – თ
გ – ქ



დაიმახსოვრე: თუ მჟღერ ბგრებს მკვეთრად არ გამოვთქვამთ, ყრუ ბგერებს დაემსგავსება.

1. გააგრძელე ნიმუშის მიხედვით:

ძველი - ძველად

ნაზი - _____

ლამაზი - _____

უხეში - _____

ამაყი - _____

იშვიათი - _____

ფრთხილი - _____

ცუდი - _____

უშნო - _____

კეთილი - _____

ხშირი - _____

თბილი - _____

სწორად შეასრულე დავალება? გადაამოწმეთ კლასში და შემდეგ მკაფიოდ წაიკითხეთ გასწორებული სიტყვები.

2. ქვემოთ მოცემული სიტყვებით შეადგინე წინადადებები:

- ვმეცადინეობ, ვუყურებ, ვდებ, ვამაყობ, ვუამბობ

_____

_____

_____

_____

_____

3. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში მონიშნულია შეცდომები. სწორად გადაწერე ეს წინადადებები:

ა) დღეს კარგ ხასიათზე ვარ და ხშირად ვხუმროფ.

ბ) ბიჭმა მეგობრულათ გაიღიმა და გულთბილათ დაგვემშვიდობა.

გ) ალბად სახლში არ მისულა, თორემ აუცილებლათ დარეკავდა.

_____

_____

_____

არსებითი სახელი

ქვემოთ მოცემულ წინადადებაში დააკვირდი არსებით სახელებს და აღნიშნე, სულიერია თუ უსულო:

„რა დაუშავა **კრუხმა ქორს**, რომ **წიწილებს** სტაცებს?“

ახლა ამ წინადადებებს დააკვირდი:

ბიჭი **ლოდზე** შედგა.



მუხასთან **კვიცი** ბალახობს.

რით განსხვავდება **ლოდი** და **ბიჭი**? **მუხა** და **კვიცი**?

ლოდი არის უსულო, **ბიჭი** – სულიერი;
მუხა – უსულო, **კვიცი** – სულიერი.
ლოდზე ვინ შედგა? **მუხასთან** რა მოჩანს?

გაიხსენე:



1. **ცხრილში გაანაწილე ჩამოთვლილი არსებითი სახელები. თითოეულს მიუწერე შესაბამისი კითხვა:**

- მინისტრი, ხელმძღვანელი, ღრუბელი, ამინდი, თავადი, ბულბული

სულიერი	უსულო
მინისტრი (ვინ?)	

2. **წაიკითხე ნაწყვეტი და ხაზი გაუსვი არსებით სახელებს, რომელთაც დაესმის კითხვა „რა?“**

„ეს გახლდათ თეთრი კურდღელი, რომელიც ნელ-ნელა მოცანცალებდა და შეშფოთებით აცეცებდა თვალებს, თითქოს რაღაცა დაეკარგაო. ელისმა გაიგონა მისი ბუტბუტი:

- ვაი, ჩემს საბრალო თათებს! ვაი, ჩემს ძვირფას ქურქსა და ულვაშებს! სიკვდილით დასჯა არ ამცდება! ეს ისევე ნაღდია, როგორც ის, რომ მე ყურცქვიტა ვარ! სად უნდა დამვარდნოდა, ვერ გამიგია!

ელისი უცებ მიხვდა, რომ იგი თავის მარაოსა და თეთრ ხელთათმანებს დაეძებდა და ვინაიდან ძალიან გულკეთილი ბავშვი იყო, თვითონაც დაუწყო ძებნა. მაგრამ ვერსად მიაგნო...“

3. **ამოიწერე ხაზგასმული არსებითი სახელები და გვერდით მიუწერე, სულიერია თუ უსულო:**

_____

_____

_____

არსებითი სახელის რიცხვი

დააკვირდი ნახატებს და წაიკითხე მინაწერი:



მხოლოდ ერთი მთა



მთ**ებ**ი

ერთი ტყვე

ტყვე**ებ**ი

რომელი ასოები დაემატა ერთზე მეტს ერთისგან გასარჩევად?



დაიმახსოვრე: არსებით სახელებში **-ებ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

ძველ ქართულ ენაში კი მრავლობით რიცხვს **-ნ** (ნარი) აღნიშნავდა.

ღრუბელი

ღრუბელნი

მრავლობითი რიცხვის ნიშანი **-ნ** (ნარი) დღესაც შემონახულია ჩვენს ენაში.

დააკვირდი: მთანი მაღალნი – მაღალი მთები.

1. მიუწერე თანამედროვე მრავლობითის ფორმები:

ბუდე - ბუდეები

ხე - _____

დღე - _____

ბადე - _____

მებაღე - _____

მეზვრე - _____

მექოთნე - _____

მევახშე - _____

თუ რომელიმე სიტყვის მნიშვნელობა არ იცი, მოძებნე განმარტებით ლექსიკონში.

2. წაიკითხე ნაწყვეტი და ხაზი გაუსვი მრავლობით რიცხვში მოცემულ არსებით სახლებს:

„– ვინძლო, შვილებო, კარგად ისწავლოთ, კარგი ბიჭები გამოხვიდეთ და, მანამ თქვენი დედა, ქეთევანი, ცოცხალია, თქვენ არაფერი დაგაკლდებათ. აბა, ნახეთ ახლა, რა საჩუქრები მაქვს თქვენთვის!

ამ სიტყვებით დედამ მოიტანა დიდი ბოხჩა და იქიდან თითო-თითოდ გადმოგვიწყო ჩვენი ქალაქში ყოფნის დროს შეკერილი ტანისამოსი: ლურჯი ჩოხები, წითელი ფარჩის ახალუხები, შავი წუღები და თეთრი ფაფახები.

ახლა კი სულ გადავირიეთ სიხარულით, დავიტაცეთ თითო-თითოდ ეს ჩვენი ძვირფასი ჩასაცმელი და გიჟებივით მოვირბინეთ ოთახები. სად იყო მოთმენა გათენებამდი! ერთმა ჩუსტის ჩაცმა დაიწყო, მეორემ ქუდი ჩამოიჩეჩა თავზე, მესამემ ახალუხი გაიწყო წელში, ერთი სიტყვით, დიდი ვაი-ვაგლახითლა მოახერხა დედაჩემმა ჩვენი დამშვიდება და ლოგინში ჩაწვენა.“

3. ამოიწერე ხაზგასმული არსებითი სახელები და გვერდით მიუწერე მხოლობითი რიცხვის ფორმები: _____

_____

_____

_____

_____

სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები

ყურადღებით წაიკითხე წინადადებები:

1. მხნე და დაუღალავმა მეფემ უამრავი ეკლესია და მონასტერი ააშენა.
2. ამ უღრან ტყეში მრავალი ნადირი ბუდობდა.

რა შენიშნე?

გაიხსენე სიტყვები:
ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, ურიცხვი, აუარებელი, ყველა, უკლებლივ ყველა...

რადგან ეს სიტყვები ერთზე მეტს ისედაც აღნიშნავს, მათთან არსებით სახელს ნიშანი ებ აღარ სჭირდება:
დააკვირდი:

ურიცხვი მებრძოლი



აუარებელი ჩაჩქანი

დაიმახსოვრე:

ამავე წესს ემორჩილება ეს სიტყვებიც: ცოტა, რამდენიმე, სხვა-დასხვა, ზოგი და ზოგიერთი:

ცოტა **ფურცელი**; რამდენიმე **კალამი**; სხვადასხვა **ფერი**;
ზოგიერთი **სურათი**.

1. მოცემულ სიტყვებს შეურჩიე არსებითი სახელები:

ბევრი თხილი

მრავალი _____

უთვალავი _____

ურიცხვი _____

ყველა _____

ცოტა _____

რამდენიმე _____

სხვადასხვა _____

ზოგიერთი _____

უამრავი _____

2. შეურჩიე სიმრავლის გამომხატველი სიტყვები:

სხვადასხვა ____ ხალხი

____ მეგობარი

____ ადამიანი

____ ყვავილი

____ თაიგული

____ ფრინველი

3. გამოიცანი სიტყვები და შეავსე კროსვორდი:

ა) ბევრი ცხენი, ანუ რ...; ბ) ბევრი ცხვარი, ანუ...; გ) ბევრი ადამიანი, ანუ...; დ) ბევრი მტაცებელი, ანუ...; ე) ბევრი საქონელი, ანუ...; ვ) ბევრი ღორი, ანუ...; ზ) ბევრი მეომარი, ანუ...



არსებითი სახელის ბრუნება

დააკვირდი ქვემოთ ჩამოწერილ წინადადებებს:

არწივ**ი** ყველა ფრინველის მეფედ ითვლება.
არწივ**ს** საცხოვრებლად მთიანი ადგილები უყვარს.
არწივ**ის** ხმით გულგახეთქილი ფრინველები აქეთ-იქით იფანტებიან.

როგორც ხედავ, სიტყვას **არწივი** ყველა წინადადებაში
სხვადასხვა დაბოლოება აქვს.

გაიხსენე, რა ჰქვია არსებითი სახელის ასე ცვლილებას? (ბრუნება)

ქართულ ენაში შვიდი ბრუნვაა. ვნახოთ,
როგორ იცვლის დაბოლოებას **არწივი** შვიდივე ბრუნვაში:

1. სახელობითი	**არწივ**ი ძლიერი ფრინველია.
2. მოთხრობითი	**არწივ**მა ცაში შეინავარდა.
3. მიცემითი	**არწივ**ს ფრინველების მეფეს უწოდებენ.
4. ნათესაობითი	**არწივ**ის თვალებს რა დაემალება!
5. მოქმედებითი	**არწივ**ით ამაყობენ მთაში მცხოვრებნი.
6. ვითარებითი	**არწივ**ად ყოფნას ყველა ფრინველი ისურვებდა.
7. წოდებითი	**არწივ**ო, მზესთან აფრინდი!

სიტყვას **არწივი** შვიდივე ბრუნვაში შესაბამისი ბრუნვის ნიშანი დაემატა.

1. არსებითი სახელის ფორმას მიუწერე შესაბამისი ბრუნვის სახელი:

ქალმა (მოთხრობითი) _____ გულით _____

ქალაქმა _____ გული _____

თავი _____ მეგობარს _____

მეგობრად _____ ქალად _____

ღრუბელს _____ ღრუბელო _____

2. აბრუნე ქვემოთ მოცემული არსებითი სახელები:

- ფრინველი, ბრჭყალი, ბუმბული

სახელობითი	ფრინველი	ბრჭყალი	ბუმბული
მოთხრობითი	ფრინველმა		
მიცემითი			
ნათესაობითი			
მოქმედებითი			
ვითარებითი			
წოდებითი			

3. ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელები ჩაწერე სწორი ფორმით:

„ბიჭის გასაკვირად, _____ (გამყიდველი) წინ და უკან სიარული არ დაუწყია, პირდაპირ დერეფნის ბოლოსკენ წავიდა, შემდეგ მარჯვნივ გაუხვია და _____ (ლიფტი) ღილაკს მიაჭირა თითი. გრინკოს უცნაურად მოეჩვენა, რომ _____ (გამყიდველი) მაინცდამაინც ამ ლიფტზე შეაჩერა არჩევანი, მაშინ, როცა ორი ლიფტი მანამდეც შეხვდათ. გრინკოს არასოდეს ენახა ასეთი რამ - მთელ კედელზე _____ (ღილაკი) იყო, ერთიდან ორასამდე დანომრილი. „ნუთუ ეს შენობა ორასსართულიანია?! შეუძლებელია. ალბათ რამე სამართავი მოწყობილობაა“, - გაიფიქრა გულში.“